ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 16 იანვარი 23, შაბათი 1888 იანვარი 23, შაბათი № 16

ივერია

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	70
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

„ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი

ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ), გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (ასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 22 იანვარი

ქვეყანაზედ მრავალგვარი ავ-კაცობაა, მრავალ გვარი სულ-დაბლობა და სალახანაობა. ხოლო ყველაზედ უარესი, ყველაზედ საზიზღარი, ყველაზედ ჩირქიანი — ურცხვობაა. ქურდს, მაგალითებრ, ზოგჯერ ქურდობა ეპატიება, ავაზაკს ავაზაკობა, ზოგჯერ მკვლელს კაცის კვლასაც-კი შეუნდობენ ხოლმე. ამისი არა ერთი და ორი მაგალითია. ამ ცხოვრებაში ქურდსა, თუ ავაზაკს ზოგჯერ იმისთანა მიზეზები მოეპოვება, რომ ადამიანის გულ-შემატკივარობას გამოიწვევს ხოლმე და ავკაცობას დამნაშავისას ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებლადა ჰხდის და ზოგჯერ სრულად მისატევებლადაც.

ურცხვობა-კი იმისთანა რამ არის, რომ არასოდეს ადამიანის გულს თავისაკენ სიბრალულით ვერ მოახედებს. იგი იმოდენად მყრალია, იმოდენად ბიწიერია, იმოდენად საზიზღარი, რომ კაცს, ურცხვობის მნახავს, ვერას გზით ვერ მოინადირებს და ვერ შეირიგებს. იგი მძოვრსა ჰგავს და რამოდენადაც ახლო მიუხვალ, უფრო ჰყარს და თუ ხელიც ახელი, უფრო ასეთს სუნს ამოუშვებს, რომ ცხვირის დაცობა თუ უშველის ადამიანს, თორემ სხვა ვერაფერი.

ბიწს ურცხვობისას საზღვარი არა აქვს. რაკი ერთხელ კაცმა ურცხვობისათვის პირი გაიხია, იმას აღარა დააყენებს-რა. თუნდა ათასი ალაყი გაუკეთო და ათასი ნალო გამოაბა. ნუ გგონიათ-კი რომ ურცხვობა უღონო რამ იყოს. არა, იგი ძლიერია, მარტო მით, რომ ურცხვობაა და რა-კი ურცხვობაა, იმის ხელთ ბარაქიანი ტყუილიც არის, ზორბა უნამუსობაც, სამარცხვინო სულელობაც, საზიზღარი ცილის-წამებაც, ერთის სიტყვით, ყოველივე თავს ლაფ-გადასასხმელი უწმინდურობა ადამიანისა.

პატიოსანს, ნამუსიანს კაცს ხელთა აქვს მარტო პატიოსანი და ნამუსიანი სახსარი მტრის მოგერებისა და გაძლოლისათვის. თუ არ ამისთანა სახსარს, იგი ხელს არა ჰკიდებს, თუ არ ამისთანა იარაღს, იგი სხვას არას ჰკადრულობს, და ამის გამო უფრო ჰრჩეობს დამარცხებულ იქმნას უნამუსო მტრისაგან, ვიდრე უწმინდურის იარაღით ექიდოს და გაიმარჯვოს. ურცხვს და უნამუსო კაცს-კი ამისი დარდი არა აქვს: ოღონდ თავისი გაიტანოს და ყოველ გვარს საძაგლობას ჰკადრულობს, ყოველ გვარს უკადრის იარაღს ხელსა ჰკიდებს. რას უნდა ეკრძალებოდეს და ერიდებოდეს?

ყოველ ამით ურცხვი კაცი უფრო ღონიერია, უფრო შემძლებელია პატიოსან და მორცხვს კაცზედ, რომელიც მარტო შეუგინებელ და პატიოსანს ფარ-ხმალს ჰკადრულობს სახმარებლად მტერთან და სხვა ყოველი სამართლიანად ეთაკილება, ეზიზღება. ურცხვი კაცი ღონიერიაო რომ ვსთქვით,—ეგ იმას არა ჰნიშნავს, რომ გამარჯვებულიც იგია და თუნდ გამარჯვებულიც იყოს, სამარცხვინო გამარჯვებას ისევ პატიოსანი დამარცხება სჯობია, როგორც ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი.

ვიცით, რომ ამ სახარებას მგლის თავზედ ვკითხულობთ და ამიტომ ამ საგანზედ გძლად ლაპარაკი სჯობია შევწყვიტოთ და ჩვენი სიტყვა დარბაისელ «**Кавказъ**»-ს მივმართოთ.

წაიკითხეთ ამ სასაცილო გაზეთის მეთაური წერილი, დათარიღებული **21**-ს იანვრითა? ჩვენ წავიკითხეთ და უნებლიედ წამოვიძახეთ გაოცებულებმა: ერიჰაა!.. აი დაუშტვინეს რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. თქვენ ვინა ჰყრიხართო, ჰყროყნებს ‹**Кавказъ**›-ი თავ-მოწონებულის ყროყინითა: მართალია, ივერია ძველის-ძველადგანვე ცნობილია კაცობრიობის ისტორიისაგან, მაგრამ თქვენ, ქართველებს, ამით რაო? თქვენ ვინა ხართო? გუშინდელი მოსულები საიდღანაც მოთრეულხართ და იძახით ორი ათასის წლის ისტორია გვაქვსო? სადა გაქვთ თქვენ ისტორიაო? თქვენი ისტორია სულ გუშინდელი ამბავია და ტყუილად მოგაქვთ თავიო?

როგორ გგონიათ? ყოველ ამის ლალად მთქმელს სად უნდა ამოაყოფინოთ თავი, თუ ქვეყანაზედ სამართალია? განა ჭკვათა-მყოფელმა კაცმა, მინამ ამას იტყოდეს, ყველაზედ უწინარეს თავის ადამიანობაზედ ხელი არ უნდა აიღოს!.. განა ყოველივე მოვალეობა თავის ქვეყნის წინაშე არ უნდა დაივიწყოს და ქვემძრომსავით მარტო მიწა არ უნდა ჰლოკოს!

გაგიგონიათ ვისმე ისეთი პირ-მოხეული ურცხვობა, რომ კაცმა თავის უწმინდურის სიტყვის გასაყვანად განძრახ უარ-ჰყოს საჯაროდ, საქვეყნოდ მეცნიერებაც, ისტორიის უეჭველნი ნაშთნიც, სამღთო და საერო მატიანეთა მოწმობაც, თავის თავიც და სხვაცა! თუ კაცს ღმერთი გასწყრომია და ყური დახშული აქვს სმენისათვის, თვალთა ხედვის უნარი სად ჯანაბაში-ღა დაჰკარგვია, რომ თავის გარეშემო ველარა ჰხედავს ათასის წლების ნაშენებს და ნაკეთებსა. ჩვენში ხომ ისე ფეხსაც არ გადასდგამთ, რომ ამისთანა უტყუარნი მოწამენი თვალ-წინ არ აღგემართონ თავისის [illegible]ებითა და სახელოვანებითა. ჩვენში ქვებიც, ქვებიც-კი ჰღაღადებენ, რომ საქმე ისე არ არის, როგორც ‹**Кавказъ**›-ს მოსწყურებია. ჩვენში ეგ მკვდარი, უსულო, უგულო და უენო მოწამენიც-კი მოგვითხრობენ ათასის წლების ამბებსა, მაგრამ პირმეტყველი, სულოვანი და გულოვანი «**Кавказъ**»-ი ქვაზედ უფრო ქვა ყოფილა.

ერთი ვიკითხოთ,—რა აკაკანებს ეგრე ლაღად, ეგრე ურცხვად?

თვითონ ‹**Кавказъ**›-იც მიმხ[illegible]რა, თვითონ ‹**Кавказъ**›-საც[illegible]რძენია, რომ სტყუის და აშ[illegible] სტყუის, სტყუის ისე [illegible] როგორც ქვეყანაზე არავის არ უ[illegible]ყუვნია, არ უცრუვნია. თვითონვე გაჰკვირვებია თავისი ტყუილი, კაცო, ეს რა წამოვროშეო, და წამოროშვილის ჩასაფუჩეჩებლად ამბობს: ჩემ[illegible] ნათქვამს მევე ვერ ვიკისრებო; რა[illegible] ვსთქვი, იმის პასუხის-გებას ჩემს თავზედ ვერ მივიღებო.

მოდით და ამისთანა თავში დაკრულს და დამთხვეულს სულიერს ემხზედ ელაპარაკე! მაშ რა ეშმაკი და ქაჯი გალაპარაკებს, თუ შენს ნათქვამს შენვე არა ჰკისრულობ და იმის გამო პასუხის გებას თავითამ იცილებ? განა სადმე გაგონილა, ესე სასაცილოდ აგდება ბეჭდვისა, სიტყვისა, ადამიანისა და ქვეყნისა. გაგონილა, კაცმა ისე დაიბრიყვოს თავისი მსმენელები, რომ დილიდამ საღამომდე ატყუოს და ბოლოს უთხრას: რაც გითხარით, მე მაგის პასუხისგებას არა ვკისრულობ, ეს იცოდეთო! ისეთი რა შესცოდეს ‹**Кавказъ**›-ის მკითხველებმა თავის საყვარელს გაზეთს, რომ ეს ოინები ‹**Кавказъ**›-ისა

ფელეტონი

სამეცნიერო ამბები

ყურით გაგონილს თვალით ნანახი სჯობია.—ყვავ-ყორანნი სხვის უბედურებას თავს დასხმიან და დაჰჩხავრიან.—მოძღვრის წერილი მოწაფესთან.—ღირსეულმა მოწაფემ უარი ვერ შეჰკადრა.—პასტერი თავისებურად შეუდგა საქმეს.—დაძველებულმა იარაღმა ვერ გასჭრა.—მხოლოდ ასეთი ხერხი გასჭრის!—პასტერის დიდსულოვნობა და კეთილშობილური პატიოსნება.—პასტერის გულთა-მხილაობა.—პასტერი ნახევარ გზაზე არ შესდგა.—იმედი და უიმედობა,—შეურყეველი იმედი გამარჯვებისა ნახევარი გამარჯვებაა!

ყურით გაგონილს თვალით ნანახი სჯობია. ყველგან და ყოველთვის ადამიანი იგივ ურწმუნო თომაა, რომელიც მხოლოდ თავის თვალს უჯერებს. ამას ჰსწამს მხოლოდ ის, რასაც თავის თვალით ჰხედავს, რასაც თავის ხელით ეხება.

ასე იყო პასტერის საქმეც. მანამ პასტერი მარტო მეცნიერებს ეომებოდა, იმის ახალი სწავლა-მოძღვრება ბევრს ეუცხოვებოდა, არა სჯეროდა. პასტერი უნდა საქვეყნოდ გამოსულიყო, ხალხს უნდა დაჰნახვებოდა; ყურით გაგონილი უნდა თვალით დაენახვებინა, თავის სწავლა-მოძღვრება თვალით დასანახავ და ხელით-სახლებელ საქმეში გამოეჩინა. ეს გზა უკეთესი და მარჯვე გზაა, რომ ურწმუნო თომა მორწმუნედ შეიქმნეს და ჯიუტმა მოპირისპირემ ფარ-ხმალი ძირს დასდვას.

პასტერი სრულიად მოულოდნელმა ამბავმა დააყენა ამ გზაზე, და ამ ამბავმავე პასტერის ახალი სწავლა-მოძღვრება ხალხის ტკივილის წამლად გადააქცია. საქმე ასე მოხდა.

**

ამ ოც-და-ხუთის წლის წინად საფრანგეთის ერთს მხარეს დიდი უბედურება ეწვია. ამ მხარეში დიდ-ძალი აბრეშუმი მოჰყვანდათ. უცბად აბრეშუმის ჭიას რაღაცა ჭირი გაუჩნდა და ისე გაწყვიტა, რომ ხუთის წლის განმავლობაში ას მილიონზე მეტი ზარალი მოუვიდათ აბრეშუმის ჭიის პატრონებს. შეწუხდნენ, დაღონდნენ აბრეშუმის მომყვანნი, ლუკმა პური პირიდამ ეცლებოდათ და შველით-კი თავისთვის ვერაფრით ეშველათ.

გავერანებულ, ტრიალ მინდორზე მომაკვდავ კაცს რომ დაინახავენ, ყვავ-ყორანნი ჩხავილს დაიწყებენ ხოლმე, თავს დასტრიალებენ და ერთს ამბავში არიან მაძღარ ლუკმის მოლოდინში. ასე მოუხდათ აბრეშუმის ჭიის პატრონებსაც. გამოჩნდნენ ვითომ გულ-შემატკივარნი, დაიწყეს წერა, რჩევა და დარიგება, როგორ და რითი უნდა ეშველოს ამ უბედურებასაო. წიგნი წიგნზე გამოდიოდა. მერე რას არა სწერდნენ, რას არ ურჩევდნენ! ყველა თავისას აქებდა. «ჩემი წამალი უებარია, სინჯეთ, თუ გინდათ, თავიდამ მოიშოროთ ეგ ვაი, მე დამიჯერეთ, სხვას ნუ ენდობითო»,—გაიძახოდა ურცხვად და ესეც ისევე ატყუებდა საბრალო აბრეშუმის ჭიის პატრონებს, როგორც ბევრნი სხვა ამისთანეები.

წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ჭიის პატრონებიც წყალ-წაღებულივით ყველას ეჭიდებოდნენ, ყველას უჯერებდნენ. რა წამალი არ ასვეს, რით არა ჰყირპეს საბრალო დასნეულებული ჭიები: მჟავე, მწარე, ტკბილი,—ყველა სცადეს, ყველა აწვეთეს. წამალზე და წიგნებზე ილუპებოდნენ და შველას-კი ვერსაიდამ ჰხედავდნენ,—ჭიები წამლებითაც ისევე იხოცებოდნენ, როგორც უწამლოდ, საქმე ხელიდამ ეცლებოდათ. მხოლოდ მატყუარა, გაიძვერა გულ-შემატკივარნი, კეთილის-მყოფელნი სარგებლობდნენ და სხვის უბედურობაზე თავიანთ ბედნიერებას აშენებდნენ. საქმე იქამდინ მივიდა, რომ თვით საფრანგეთის ერთი მინისტრიც მოატყუეს. ერთმა მოხერხებულმა, გაოსტატებულმა კაცმა რაღაც წამალი მოიგონა, წარუდგინა მეურნეობის მინისტრსა, დაარწმუნა, რომ ჩემი მოგონილი წამალი უებარიაო, და ასი ათასი მანათი დასტყუა წამალში. წამალი სცადეს და სრულიად უვარგისი გამოდგა.

**

ასეთ ყოფაში იყვნენ აბრეშუმის ჭიის პატრონები, როცა საფრანგეთის გამოჩენილ ქიმიკოსს დუმას თავის სამშობლო მხარეში მოუხდა წასვლა. სწორედ ეს მხარე იყო უფრო ყველაზე ძრიელ დაზიანებული ამ საშინელის ჭირით. დაღონებულ და დაძმარებულ პატრონებმა შესჩივლეს გამოჩენილს მემამულეს თავიანთი დარდი და ვარამი და სთხოვეს, ეშველა რითიმე. დუმა შესწუხდა. გული შესტკიოდა, უნდოდა უბედურებისაგან დაეხსნა თავის მემამულენი, მაგრამ როგორც ნამდვილი მეცნიერი, ჭეშმარიტების მოსამსახურე, იმასაც კარგადა ჰგრძნობდა, რომ ამ უბედურებას თითონ ვერაფრით უშველიდა, ამის საქმე არ იყო. უნუგეშოდ დატოვებაც-კი არ იქნებოდა,—ხალხი სრულიად ილუპებოდა, უნდა ეშველა რითიმე. მაგრამ რით?

დუმა კარგად იცნობდა პასტერს, კარგად იცოდა იმის ნიჭი, მხნეობა და გამჭრიახობაც. პასტერი დუმას მოწაფე და თანა-მოძმე იყო მეცნიერებაში. დუმამ წერილი მისწერა პასტერს, უამბო საქმის ყველა გარემოება და სთხოვა რითიმე ეშველა. პასტერმა ჯერ უარი განაცხადა იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც თვით დუმამ საქმეს ხელი არ მოჰკიდა.

«როგორ გავბედო და შევუდგე მაგ საქმესაო»,—სწერდა პასტერი დუმას—«როდესაც აბრეშუმის ჭია მარტო თვალით მინახავს და სხვა-კი არაფერი ვიცი-რა მაგისიო».

დუმამ მაინც თავისი არ დაიშალა, თითქოს გული ეუბნებოდა, რომ თუ უშველის ვინმე საქმეს, მხოლოდ პასტერი უშველისო. დუმამ მეორედ მიჰმართა პასტერს.

დუმა სწერდა: «მოგმართავ შენ არა [illegible]როგორც მოწაფეს, არამედ როგორც [illegible]ას, როგორც კაცს, რომელსაც [illegible] შესტკივა ქვეყნისთვის. შენ შეგ[illegible] მხოლოდ უშველო ჩემს უბედ[illegible]ის სამშობლოს, [illegible] გარემ

უნდა აიტანონ და პასუხის-გებაც არ მოსთხოვონ? ნუ თუ ეს აზები ხმაამოუღებლივ უნდა გადაჰყლაპონ? «Кавказъ»-ი ამისთანა მალაყებს რომ გადადის თავის მკითხველების წინაშე, ნუ თუ ჰგონია, რომ მის მკითხველებს გრძნობა ადამიანურის ღირსებისა დაკარგული აქვთ და ვერ იგრძნობენ, რომ «Кавказъ»-ი სასაცილოდ იგდებს ყველას ერთად და თვითეულსა ცალკე. განა უტვინო კაცად არი უნდა მყავნდეს მიჩნეული ის, ვისაც გავუბედავ და ვეტყვი: მე ვსთქვი და ჩემის ნათქვამის გამო პასუხის-გებას არა ვკისრულობო.

სხვა ქვეყანაში რომ გაზეთი ასე გაბრიყვდეს და ასე გაუკადნიერდეს მკითხველს, მეორე დღესვე გულ-ნაწყენი მკითხველი შეუთვლის ბარათითა — შენმა მყრალმა სუნმა ლამის დამარჩოსო და ჩემს სახლში ნულარ გაიჭაჭანებო, ფულზედ ნუ ინაღვლი, ნთვის მიჩუქებიაო. ეს სხვა ქვეყა[illegible]ა ჩვენში? ჩვენში, ღვთისა და [illegible]ყალობით, ყველაფერი მშვი[illegible]დ ჩაივლის.

◆

ახალი ამბავი

*** ქართველ ქალებს სასიამოვ[illegible] დაჰრჩებათ ის გარემოება, რომ ბ-ნ გ. ტატიშვილს შეუდგენია ქართულად «კანვაზედ საკერი ანბანი», რომელშიაც სხვა-და-სხვა ზომის ქართული ასოებია გამოყვანილი. წიგნაკი ძრიელ ლაზათიანად არის გამოცემული, ყდაზედ ოქროს ვარაყიანი ასოებია ამობეჭდილი. ეს ძვირფასი შრომა ბ-ნ ტატიშვილისა უეჭველია დიდს ყურადღებას მიიქცევს ქართველ ქალების მხრივ და მალეც გავრცელდება ჩვენში, მით უმეტეს, რომ წიგნაკი ღირს ცალი ერთ აბაზად.

*** დღეს საღამოზედ ტფილისის «სობრანიის» დარბაზში იქნება კონცერტი ზეითუნელების სასარგებლოდ. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ უკეთესი არტისტები ოპერის დასისა: ქ-ნები ზარუდნაია, იოზეფოვიჩი, ზვიაგინა და ლუბკოვსკაია; ბ-ნები პრიანიშნიკოვი, იპოლიტოვ-ივანოვი და სხვანი. ბოლოს შეასრულებენ «ზეითუნის მარშსა».

*** ჩვენ გვაცნობებენ, რომ ბ-ნი ფორკატი ამზადებს წარმოსადგენად პიესას — «რუსული ქორწილი მეჩვიდმეტე საუკუნეში». დეკორაციებს საგანგებოდ ახატვინებს და საუკეთესო კოსტიუმებს აკერვინებს. 30 მომღერალი ეყოლება მოწვეული. ერთის სიტყვით, საუკეთესო რამ სანახავი იქნება ეს პიესა.

კვირას, 24 იანვარს, წარმოადგენენ „და ტერეზას“, რომელიც ასე მოეწონათ ტფილელებს. 28 იანვარს ბენეფისი იქნება ქ-ნ მაიეროვისა და ითამაშებენ შპაჟინსკის ახალ პიესას «Вопросъ жизни».

*** ცხინვალი: 22 წარსულ დეკემბერს მოხდა ჩხუბი, ხანჯლებისა, ხმლისა და თოფის ტრიალი. საქმე ასე იყო: დავით ნამორაძეს ვალები დაატყდა. საქმე ვექილს გარდასცა. ეს რომ გაიგეს ფულის პატრონებმა, თამასუქები სასამართლოში წარადგინეს და გამოიტანეს «ისპოლნიტელნი ლისტი», აუწერეს რაც-კი რამ ჰქონდა და გაუყიდეს. კონონიერად თითონვე დაინარჩუნეს მამულები. ერთი ამათგანი იყო ვ. ელიოზიძე. ამან 22 დეკემბერს დაუძახა მეზობლებს, წაილო ექვსი ურემი კაცებით და წაიყოლია კიდევ ოთხიც სხვა გლეხი. კარგა გადაჰკრეს-კი ჯერა. ეს რომ ნამორაძეებმა შეიტყეს, გარდასწყვიტეს: თავები დავიხოცოთ და იმათ-კი მამულში ფეხი არ შემოვადგმევინოთო. ესეც მოხდა. მივიდნენ ელიოზიძის კაცები და ესენიც იქ დახვდნენ. მამულში არ უშვებდნენ. ამაზედ მოუვიდათ ჩხუბი. ელიოზიძის გაგზავნილებიდგან დაიჭრა ორი — ერთი თვით ძმისწული ელიოზიძისა და მეორეც კვანჭახაძე. ელიოზიძე მძიმედ არის დაჭრილი და რომ მორჩეს კიდეც, კაცად აღარ ივარგებს. მოპირდაპირეთაგანაც ორნი ძალიან მძიმედ არიან დაჭრილები, ასე რომ გადარჩენა ძალიან ძნელია. ერთის სიტყვით, თუ ორი და სამი ღვთისნიერი კაცი არ შეჰხვედროდათ და იმათ არ ჩამოეგდოთ მშვიდობა, სწორეთ ცუდი საქმე მოუვიდოდათ. მაინც ეს ვექილები იმისთანა საქმეებს ეხებიან და ისე გადაიბირეს ხალხი, რომ ძმა ძმას არ ინდობს და დედა შვილს სათოფეზედ არ ეკარება.

*** თიანეთი: თუმცა აქეთკენ საშინლად გაძლიერებულია ყივანა-ხველა, წითელა, ჩუტ-ყვავილა, ყბაყურა და ყვავილი, მაგრამ ბევრი არავინ დაუზარალებია. ამ შემთხვევაშიაც ღარიბის შვილებს ადგილობრივი ექიმი, როგორც ყოველთვის, უსასყიდლოდა ჰპატრონობს, რითაც დიდი პატივი და სიყვარული დაიმსახურა ჩვენში.

*** იქიდამვე: თიანეთის ვაჭრებიც არ აკლებენ სოფლელებს შევიწროებას, როგორც ტფილისში თუ სხვაგან. ვაჭრებმა შეჰკრეს პირი, რომ არ იყიდონ გლეხებისაგან ერთმანერთის დაუკითხავად სხვა-და-სხვა სურსათი. ამ ნაირად გლეხებისაგან ძრიელ ნაკლებ ფასად ყიდულობენ და ჰყიდიან ძვირად. რომ ნაკლებ იყიდონ, ვინ იცის, რას არ ჩაიდენენ. ამას წინად ერთს ხევსურს ჩამოეტანა თიანეთში სამი გუდა ერბო. ვაჭრებს მაშინვე გაეგოთ ეს ამბავი და შეეკრათ პირი, რომ არავინ იყიდოთ ერბო იმ ფასად, როგორც ხევსური აფასებსო. იგივე ვაჭრები საღამოხანზედ მივიდნენ ხევსურთან და დაუწყეს ვაჭრობა. რადგანაც ვერ მორიგდნენ, ერთმა მედუქნეთაგანმა ჰკრა გუდებს ფეხი და სრულებით მიწაში ამოსვარა ერბო, ეგებ ის გატალახიანებული ერბო მაინც იეფად მოგვცესო. კარგია კიდევ, რომ ამ დროს წააწყდათ პოლიციის მოხელე, რომელმაც ვაჭრებს გარდაახდევინა ხევსურის ზარალი.

*** გაზ. «Кавказъ»-ს ახალ-ქალაქიდამა სწერენ, რომ სოფ. გორთაში მცხოვრებელს ხ. მ...ს სახლში შეუცვივდნენ მახლობელ სოფლების მცხოვრებნი, მოსტაცეს ქალი და წაართვეს 130 მანათი ფული. საქმე გამომძიებელს გარდაეცა.

◆

სახელდახელო

(ყბად-ასაღები, — წყალ-წასაღები ამბები)

როგორც მოგეხსენებათ, ყოველს გვარს გამათობას, — სიტყვით თუ წერით, — ერთი ჭირი სჭირს: ძნელად, ძალიან ძნელად ჰთავდება ხოლმე გამათობა იმით, რომ ერთმა მეორე დააჯეროს და დაიყოლიოს. თუ ერთი მოგამათეთაგანი გაქირიც არის ზნით თუ განგებ, მაშინ ხომ ყოვლად შეუძლებელია დაიყოლიოთ, დააჯეროთ გაქირი, რაც უნდა მართალი ბძანდებოდეთ.

კარგად დახელოვნებული მოკამათე ამ უკანასკნელ შემთხვევაში ერთს ხერხსა ჰხმარობს, რომ გაქირულს მოპირისპირეს ჰძლიოს და ლაქლაქი ენა მოაკვნეტინოს. რა-კი ჰხედავს, რომ გაქირი გაიბობღა და რაც ძალი და ღონე აქვს იბღაუჭება საკუთარს უტვინობას, მაშინ ხელოვანი მოკამათე უფრო ძლიერ ააყბედებს და სალაპარაკოდ აქეზებს იმ დრომდე, ვიდრე ერთს ბარაქიანს სულელობას არ წამოაროშვინებს. ესე გაბრიყვებული სულელი მოკამათე ამ ხერხს ვერ მიუხვდება ხოლმე. აქაო-და ყურს მიგდებენო, უფრო აღვირს წამოიგდებს ხოლმე პირიდამ და არახუნებს უთავბოლოდ. ამ რახუნით გამოყრუებული მისდევს თავის გონიერს მოკამათეს და უეცრად თავდაყირაკი ჩაეყუდება ხოლმე იმ ორმოში, რომელიც იმისთვის წინადვე განგებ არის გათხრილი.

ჩვენ მარტო დღეს მივუხვდით «Новое Обозрѣніе»-ს ხერხსა. აქამდე გვიკვირდა, რისთვის მოსცდა და გაება «Кавказъ»-თან ლაპარაკში? რაო ჩემოვო? განა «Новое Обозрѣніе»-მ არ იცოდა, რომ დიდი ხანია რაც «Кавказъ»-ს შუბლზედ აწერია: «свободенъ отъ постоя», როგორ-და მისია და ჰქლამოდა ცარიელი აევსო?

თურმე ნუ იტყვით, «Новое Обозрѣніе»-ს «Кавказъ»-ის ზნე სცოდნია, გაუბრიყვებია, და იმისთვის გაუბამს ლაპარაკი, რომ ის წამოაროშვინოს, რაც წამოროშა «Кавказъ»-მა ამ იანვრის 21-ს.

«Кавказъ»-ი თავის როშვას იქიდამ იწყებს, რომ «Новое Обозрѣніе» ამ უკანასკნელ ხანებში შეუცდომელს ავტორიტეტობას სჩემობსო, მითამ-და ზედ-მიწევნით იცისო ისტორია, ეტნოგრაფია და ეკონომიური მდგომარეობა აქაურობისაო. შეჰშურებია ეს «Кавказъ»-ს, და ახლა თვითონ გამოსულა და იძახის: მე რაღა ჯანაბა ვარო! ჩვენ არ ვიცით, რა ჯანაბაა «Кавказъ»-ი, ამას-კი ვიტყვით, რომ «Кавказъ»-ი ჰ[illegible]ლობს ყოველს ამბებში ავტორიტეტობა თვითონ დაიჩემოს და სხვას არავის არ დაუთმოს.

ჩვენა გვგონია, რომ «Кавказъ»-ისათვის ეგ ავტორიტეტობა უფრო უპრიანია. აი რად: იგი ჯერ იმას გვეფიცება, რომ ისტორია ჩვენის ქვეყნისა იმისთანა წიგნიდამ უსწავლია, როგორც საენციკლო-

---

სხვის არავის იმედი არა მაქვს. გთხოვ, როგორც შენი მოძღვარი და თანამოძმე, მოძღვრის თხოვნას უარს არა ჰყოფ». პასტერმა მართლაც და უარი აღარ აკადრა.

**

1865 წელსა პასტერი წავიდა დუმას სამშობლოს. ეს მხარე უკეთესი ადგილი იყო აბრეშუმის მოსაყვანად, მაგრამ უფრო ყველაზე ძრიელ ჭირსაც ეს ადგილი აეოხრებინა. მოვიდა პასტერი, შეუდგა საქმეს, და შეუდგა თავისებურად. გასინჯა სნეული ჭიები. გარეგანი ნიშნები ამ სენისა სხვებმაც იცოდნენ: ჭიას გარედამ ჯერ შავ წინწკლებივით რაღასაც დააყრიდა ხოლმე; ჭია სწორედ აღარ იზრდებოდა, სიარული უჭირდებოდა, ზოზინით ძლივს-ღა დადიოდა, მადა ეკარგებოდა, მერე საჭმელს სრულიად პირს აღარ აკარებდნენ და იხოცებოდნენ. პასტერი სხვებსავით მარტო ამაზე არ შესდგა. უფრო დაუკვირდა საქმეს, ჭიის შიგნეულობაც გასინჯა, შეადარა ერთმანეთს ჯან-მთელი და სნეული ჭია და აი რა შეჰნიშნა: სნეულ ჭიების სისხლში რაღაც ხორცის მაგვარი მარცვლები დატრიალებდა. ნაწლევებიც სავსე ჰქონდათ ამ მარცვლებით. შენიშნა აგრეთვე, რომ [illegible]მელსაც ეს მარცვლები ძრიე[illegible]ია, თუმცა სცდილობს, თუ[illegible]აობს ისე, თითქ[illegible] ძაფი[illegible]ა [illegible]დაო, მაგრამ [illegible] არ [illegible]ს[illegible] პასტერს გაუკვირდა ეს ამბავი და მთელი თავის ყურადღება ამ პაწია მარცვლებს მიაქცია. იტალიის მეცნიერთა პასტერზე წინად მიაქციეს ყურადღება ამ მარცვლებს და აბრეშუმის ჭიის პატრონებს ურჩევდნენ კარგი თესლი აერჩიათ ჭიის მოსაყვანად. მაგრამ იტალიის მეცნიერნი სცდებოდნენ, რომ ასეთს რჩევას აძლევდნენ. მართალია, პასტერი არ უარ-ჰყოფდა, რომ ეს პაწია მარცვლები თესლშივე არიან ჩასახულებიო, მაგრამ ამათი შემჩნევა ძლიერ ძნელიაო, ზოგჯერ-კი თითქმის სრულიად შეუძლებელიც. თუ პასტერისთვის ძნელი იყო ამის შეტყობა, ჭიის უსწავლელი პატრონები რაღას იზამდნენ! ცხადია, რომ იტალიის მეცნიერების რჩევა და დარიგება სრულიად გამოუსადეგარი იყო. პასტერი სხვა გზას დაადგა.

ბევრს გეცოდინებათ, რომ აბრეშუმის ჭია პირდაპირ თესლიდამ არ გამოდის, რამდენიმე ცვლილება უნდა გამოიაროს, მანამ ჭიად გადიქცევა: ჯერ თესლიდამ გამოდის პატარა მატლი; მატლი იზრდება და კანს იცვლის; კანს ორჯელ-სამჯერ იცვლის ხოლმე დრო გამოშვებით. როდესაც მატლი უკანასკნელად იცვლის კანსა, თუთის ფოთოლზე ავა ხოლმე და აქ პარკს იკეთებს და თითონაც სრულიად ეხვევა პარკში. ამ პარკიდამ მერე გამოდის პეპელა. თესლსა პეპელა ჰყრის და ამ თესლისაგან მოშენდება ხოლმე მეორე თაობა.

ის მარცვლები, რომელიც ასნეულებს ჭიას, იცვლებიან; დაცვლა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ თან-და-თან უფრო დიდდებიან: თესლში სრულიად შეუმჩნეველია, მატლშიაც ძნელი გასარჩევია, როცა ჭია პარკში ეხვევა, მაშინაც ადვილი საპოვნელი არ არის მარცვალი, პეპელაში-კი მარცვლები იმოდენად სხვილებია, რომ ყველას ადვილად შეუძლიან შეჰნიშნოს. მაშასადამე, სენის შეტყობა უნდა პეპელიდამ დაწყებილიყო და არა თესლიდამ, როგორც იტალიის მეცნიერნი ამბობდნენ. ეხლა ცხადი იყო, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ვისაც აბრეშუმის ჭიის სნეულობის მოშორება უნდოდა. «თუ უბედურების თავიდამ მოშორება გინდათო», — ურჩევდა პასტერი აბრეშუმის ჭიის პატრონებს, — უკეთესი წამალი ეს არის: «გასინჯეთ პეპლები, — თუ ჯან-მთელია, იმისი თესლიც გამოსადეგი იქნება ჭიის მოსაყვანად, თუ დასნეულებულია, ე. ი. თუ პეპელას მარცვლები გასჩენია, მაშ თესლიც, რომელსაც ეს პეპელა დაჰყრის, დასნეულებული იქნება, და ნურც იხმართ, თუ არ გინდათ, რომ შრომამ და ჯაფამ მუქთად ჩაგიაროთ და აბრეშუმის ჭია თქვენში სრულიად ამოაცდოთო.»

**

პასტერი, როგორც ჰხედავთ, ახალს და მასთან ადვილ გზას უჩვენებდა. მაგრამ, ეტყობა, ძველის გზის დაგდება ეგრე ადვილი არა ყოფილა. ზოგიერთ მეცნიერთა ცუდ-მედიდობა, ჯიუტობა გზაზე გადაეხიდა პასტერსა. გარდიგდეს მხარზე თავიანთ დაძველებული, ხავს-მოკიდებული ფარ-ხმალი და გამოილაშქრეს პასტერის წინაამდეგ.

«როგორ! პასტერი, ქიმიკოსი ჰბედავს და ჩვენ ჭკვას გვასწავლის?! ათას ნაირად არის გამოკვლეული ეს საგანი, ათასობით წიგნებია დაწერილი ამის შესახებ, — პასტერს ჯერ ყველა ეს უნდა გადაეკითხნა და მერე შესდგომოდა საქმეს. თორემ სრულიად უმეცარი ამ საქმეში, მოდის და ჩვენ გზას გვიჩვენებსო!»

ბევრს კიდევ ამისთანებს ლაპარაკობდნენ პასტერზე, ბევრი უკადრისადაც იხსენიებდა, ბევრმა სასაცილოდაც აიგდო. პასტერი პირველებს მხნედ დაუხვდა, და მეორებს-კი ყურიც არ ათხოვა, პასუხიც არ აღირსა. რა იარაღით უნდა დახვედროდა წინ ამათ პასტერი? იმაზე უკეთესი და მჭრელი აღარ იქნება, რაც პასტერმა იხმარა.

აბრეშუმის ჭიის პატრონები ჭიის მოსაყვანად იმ თესლს ჰხმარობდნენ, რომელიც კარგ მოსავლიან წლისა იყო. მტკიცედ სწამდათ, რომ თუ ჭიამ ბევრი აბრეშუმი მოგვცა, მაშასადამე, ჯანმთელი ყოფილა და თესლიც საღი უნდა იყოსო. მხოლოდ მაშინ მიჰხვდებოდნენ ხოლმე თავიანთ შეცდომას, როცა თესლი უმტყუნებდათ და აბრეშუმი აღარ მოუვიდოდათ. მაგრამ რას არგებდათ ეს გვიანი ცოდვის მონანიება, სიკვდილს უკან სინანული. პასტერის ნაჩვენებ გზაზე გავლას-კი ჯიუტობდნენ. პასტერს ჰსურდა-კი ეს ჯიუტი ხალხი თავისკენ გადაეხრო. აი ეს ღონე იხმარა, და ამისთანა ხალხზე მხოლოდ ასეთი ღონე გასჭრის ხოლმე.

«მომიტანეთ აბრეშუმის თესლიო, — უთხრა პასტერმა — თუ გამოვიცნო წინადვე, რომელ თესლიდამ ჯანმთელი ჭია გამოვა, რომლისაგან სნეულიო, ხომ კარგი, დამიჯერეთო; თუ ვერ გამოვიცნო, მე მტყუანი და თქვენ მართალიო.» მოეწონათ ასეთი სიტყვა და დასთანხმდნენ გამოეცადნათ.

1866 წელსა პასტერს მოუტანეს თოთხმეტი სხვა-და-სხვა თესლი პარკებით. ამასთანვე მოაყვანინა ის პეპლებიც, რომელთაც ეს თესლი დაეყარათ. პასტერმა კარგად, დალაგებით გასინჯა პეპლები და წინადვე წარმოსთქვა, რა ჭიები გამოვა 1867 წელსა ამ თესლებიდამაო. თავის აზრი ქაღალდზე დასწერა, დაბეჭდა და შესანახად გადასცა იმ ქალაქის თავსა, რომელ ქალაქშიაც ეს ამბავი მოხდა.

გავიდა ერთი წელიწადი. აბრეშუმის ჭიის პატრონებმა შეატყობინეს ქალაქის თავს, რომელმა თესლმა

პედია ლექსიკონია პლიუშარისა და გვგონია, ამ გზაზედ «Кавказъ»-ს წინ წასძღოლია ყველასაგან სასაცილოდ აგდებული, ერთი ცრუ და მატყუარა ორიენტალისტი — მასხარა ბარონ ბრამბეუსი. ეტნოგრაფია-კი ჩვენის ქვეყნისა გაუკვეთნია ხომ იმისთანა სახელოვან ავტორიტეტებისაგან, როგორნიც აქაური მზვარეულები და ლაქიები არიან და ეკონომიური მდგომარეობაც უეჭველია ამათგანვე ექნება ნასწავლი.

ამ სახით გამოდის, რომ «Кавказъ»-ი მეცნიერებას მის სათავეშივე დასწაფებია და მოდით ეხლა წინ დაუდეგით და ავტორიტეტობას ნუ დაუთმობთ! აგი წინ ვერ ვუბედავთ დადგომას და მარტო იმას ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს, რომ «Кавказъ»-ი გვიბძანებს: თქვენ ქართველები რას ბაქი-ბუქობთო, თქვენ ისტორია არა გქონიათ მეთერთმეტე საუკუნომდე და ამ საუკუნოდამ-კი თუ გინდათ, იქონიეთო. წყალობა, როგორც ჰხედავთ, დიდია...

აბა ბარაქიანი ტყუილი, აბა თავზედ ხელ-აღებული ნახტომი ეს არის! მოდი და ნუ მოუწონებთ «Новое Обозрѣніе»-ს ხერხსა! ძალიან ნიშადური უნდა მოსცხობოდეს გაქირსა, რომ ამ სიმაღლე სულელობამდე შეახტუნოს და ამ სივანე სიბრიყვეზედ გადაამთხვიოს.

◆

დედაკაცი

(არტურ შოპენჰაუერის აზრით)

რას დროს არ უნდა უარ-ვყოთ მვე- ა გერმანელების ჩვეულება; იმათ იცო- ენ, გაჭირებაში დედაკაცსაც დაეკითხე- დნენ ხოლმე, იმასაც მიიწვევდნენ ხო- მე სათათბიროდ. დედაკაცისა და მა- კაცის აზრი ერთსა და იმავე საგან- ედ ბევრ ნაირად სხვა-და-სხვაობს. დედაკაცი მალე მიაგნებს ხოლმე იმ გზას, რომელიც უფრო მოკლედ მიგვატარებს და ჩვენს საწადელთან მიგვიყვანს, მამაკაცები-კი უფრო შორს გავიყურებით... გავიყურებით შორს და იმას-კი არ ვაქცევთ ყურადღებას, რაც ცხვირ-წინ გვიძევს. ამიტომაც დედაკაცები გაცილებით ჩვენზედ მკვირცხლები და მახვილები არიან და ჰხედავენ საგანს ისე, როგორიც ნამდვილად არის, მაშინ-როდესაც ჩვენ, თუ ცოტა აღელვებულნიცა ვართ, ადვილად გავაზვიადებთ ხოლმე იმას, რაც არის...

ამავე სათავიდამ მომდინარეობს ის გარემოებაცა, რომ დედაკაცი უფრო მალე ჰგრძნობს სხვათა ტანჯვას და ამიტომ უფრო მეტი თანაგრძნობა და კაცთ-მოყვარეობა მოეპოვება. გარნა ძალიან შორს ჩამორჩებიან დედაკაცები კაცებს მართლ-მსაჯულებასა და სინიდისიერებაში. იმათის სუსტის გონების მეოხებით ყოველსავე აწმყოს, აწ არსებულს აქვს ისეთი მძლავრი გავლენა მათზედ, რომლის წინააღმდეგ ვერას გახდებიან განყენებული, ურომელო დედა-აზრები (იდეები), საზოგადო და სამუდამო კანონები, ყველას მიერ აღიარებული გარდაუწყვეტილებანი, — საზოგადოდ მოსაზრება წარსულისა და მომავლისა აწ არ არსებულსა და შორეულზედ. ამიტომაც დედაკაცებს აქვთ პირველი და უმთავრესი სათნოება, გარნა აკლიათ ერთი რამ, რაც უსაჭიროესი იარაღია ამ სათნოებისათვის. ამ შემთხვევაში დედაკაცი შეიძლება შევადაროთ ისეთს არსებას, რომელსაც ღვიძლი აქვს და ნაღველა-კი არა. ამ მირეულს ნაკლს ქალის ხასიათისას, როგორც შედეგი, მოსდევს უსამართლობა. იგი სწარმოებს ზემოდ მოხსენებულის ნაკლულევანებისაგან, გარნა მხარს აძლევს ის გარემოებაც, რომ დედაკაცი აღჭურვილია უფრო ცბიერებით, ვიდრე ნამდვილის ღონით. აქედამ აიხსნება მათი ბუნებითვე თან დაყოლილი ფლიდობა და თავ-აშვებული სიცრუე. ბუნებას ყველა არსებისათვის რაიმე იარაღი მიუცია თავის დასაცველად: ლომისათვის — მძლავრი ბრჭყალები და კბილები, სპილოსათვის — ხორთუმი და ეშვები, ძროხისათვის -- რქები, დედაკაცისათვის -- ცბიერობა და ფლიდობა, მამაკაცისათვის — ღონე და გონება. ამიტომ ფლიდობ დედაკაცის მიღებული თვისებაა, სულ ერთია, ჭკვიანია იგი დედაკაცი, თუ სულელი. ეს არის მიზეზი, რომ დედაკაცი ისევე ჰხმარობს ყოველ შემთხვევაში ფლიდობას, როგორც ზემოდ აღნიშნული ცხოველები თავიანთს იარაღს, და ამაში საწინააღმდეგოს არც არასა ჰხედავს. ამიტომაც, იქნება, ყოვლად შეუძლებელია იყოს სამართლიანი და არა-ცბიერი და არა-ფლიდი დედაკაცი. ამ მირეულის ნაკლისაგან წარმოსდგება ტყუილი, სიცრუე, ღალატი, უსამართლობა და სხვ. სასამართლოში დედაკაცები მუდამ აჭარბებენ მამაკაცებს ტყუილს ფიცში. ჯერ საეჭვო და საკამათოა ის გარემოება, რომ შესაძლოა თუ არა, დედაკაცს ჰქონდეს უფლება ფიცი მიიღოს ხოლმე სასამართლოში. ვის არ მოეხსენება ის სამარცხვინო ამბავიცა, რომ შეძლებულის და მაღალის საზოგადოების დედაკაცნი არა იშვიათად ხელს გააყოლებენ ხოლმე მაღაზიებიდამ სხვა-და-სხვა ნივთებს.

ბიძია

◆

უცხოეთი

ავსტრი-უნგრია. ბუქარესტის გაზეთი «Etoile Roumaine», განიხილავს რა პოლიტიკის დღევანდელს მდგომარეობას, ამბობს: «მართალია ნიშნები მშვიდობიანობისა ბლომად სჩანს, მაგრამ საპოლიტიკო ცა მაინც მოწმენდილი არ არის. ვენაში პოლიტიკის მეთაურნი ვერაფერს გუნებაზედ არიან. იქ ამტკიცებენ, ვითომ გრაფ კალნოკის ლაპარაკი ჰქონია სადიპლომატო კრებულის ორს წევრთან და უთქვამს შემდეგი: «მართალი რომ გსთქვათ, არავითარი ცვლილება არა მომხდარა-რა, არც კეთილი, არც უკეთური. ჯერ-ჯერობით ისევ იმ ყოფაში ვართ, როგორშიაც აქამდე ვიყავით: რის იმედიცა გვქონდა, კვლავაც იმის იმედი გვაქვს; რაც გვაფრთხობდა, კვლავაც ის გვაფრთხობს და გვაშინებს».

— პროვინციელმა სეიმებმა გაათავეს თავიანთი მუშაობა, რადგან მალე თვით ვენაში დაიწყებს მუშაობას რეიხსრატი. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ლვოვში არ გაუთავებია სეიმს თავისი საქმეები.

— ვენის რეიხსრატს განსახილველი აქვს შემდეგი საგნები: მომატება ბაჟისა სხვა-და-სხვა საქონელზე, ანუ არა-პირდაპირის გადასახადის მომატება, სასკოლო პროექტები, კანონ-მდებლობა საწვრილმანოდ ვაჭრობისათვის და ღონის-ძიებანი ლოთობის საწინააღმდეგოდ.

ისპანია. ექს-დედოფალი ისპანიისა, იზაბელლა, რომში აპირობს თურმე წასვლას, სადაც უნდა პაპი ინახულოსო. ნამდვილი მიზეზი უფრო ის არის, რომ იზაბელლა იძულებული იქმნა დაენებებინა თავი სამშობლოსათვის, რადგან საპოლიტიკო საქმეებში ერეოდაო.

◆

წვრილი ამბები

— ამას წინად ერთი შარტრელი ღვინის მომქმედი სამართალში იყო თურმე მიცემული და ის ბრალი ედებოდა, რომ თავის ერთის თვის ყმაწვილი მოეწამლა. აგვისტოს ნახევარში პიერ შერამის ცოლს აკვანში გაუშვა თავის პაწია ქალი, სულ ერთის თვის დაბადებული, და თვითონ ერთს თავის ნათესავთან წასულიყო რაღაცა საქმისათვის. რამდენისამე ხნის შემდეგ ნათესავებისასვე მისულიყო ამ დედაკაცის უფროსი შვილი, ერნესტი, და ეთქვა, რომ მამამ რაღაცა უყო ყმაწვილს და ეხლა ყმაწვილს ძალიან ახველებს და სისხლი სდის პირიდგანაო. მამამ სთქვა: ბრიოსში მივდივარ და თუ დაგჭირდეთ, დამიძახეთ». დედა მაშინვე წასულა სახლში და უნახავს, რომ ყმაწვილს ენა, პირი, ცალი ლოყა და ერთი მხარი სულ ერთიანად დათუთქული და დაბუშტული აქვს რაღაცა წამლით, რომლის ნიშნები საცვლებსაც ემჩნეოდა თურმე. ექიმი დაუბარებიათ და ექიმს ეთქვა, რომ ყმაწვილის გადარჩენა ყოვლად შეუძლებელიაო. ამ ყმაწვილზედ რომ დასწოლი ყოფილა შერამის ცოლი, ქმარი ხშირად ეუბნებოდა თურმე, რომ ჩვენ ოთხის შვილის შენახვა და საზრდოება არ შეგვიძლიანო და ამიტომ ეგ მეოთხე მოჰკლათ როგორმე, ნუღარ გვინდაო. ცოლი უარზე შემდგარიყო და ქმარს-კი ისევ თავისი ეთქვა: «მე ვიცი, როგორც მოვიქცევიო». სასამართლოს შერამი გაუმართლებია.

— 24 დეკემბერს წარსულის წლის სასამართლოდგან, შარლრუაში, გაქცეულა ერთი მეტად დიდი ავაზაკი, საფრანგეთის ქვეშევრდომი, გვარად კონ ზენნი. ამ რამდენისამე წლის წინ კონტაზენნი ქურდობის გამო რიათ საფრანგეთში და ათის წ უგზავნიათ ახალ-კალედონიაში. დონიიდგან გამოქცეულა ეს ავაზა სულა ბელგიაში, ბრბო შეუდგენია ავაზაკობა დაუწყია. ბოლოს მლივს უჭერიათ ისევე და განნგაუსის სას რთლოს ოც-და-ხუთის წლით კატ გაში გაგზავნა გარდაუწყვეტია ამ ავაზ კისათვის. კონტაზენნი რამდენსამე ხანს ციხეში მჯდარა, მონსში, შემდეგ უეცრად გამოუცხადებია, რომ შარლრუას სასამართლოში წამიყვანეთ მოსამართლესთან და ჩემს თანაშემწეებს ხელში ჩაგიგდებ მთავრობასა, ყველა ჩემს ამხანაგს დავუსახელებო. წაუყვანიათ, სასამართლოდგან კვლავ გაპარულა და აგერ დღემდე ვერ უპოვნიათ თურმე.

— სან-ანტონიოში, მექსიკაში, გარდაცვლილა ამას წინად განთქმული ყაჩაღი-ქალი, გვარად ამასტა რუბიო დე-პასკადერა. ამ ყაჩაღის ყმაწვილ-ქალობის დროს მოკავშირეთა ჯარებს მოუკლავთ

ოგორ იხეირა. გასინჯეს პასტერის ჩერი და პასტერის აზრი, ერთის ის წინად ნათქვამი, ზედ-მიწევნით ართლდა. პასტერს დაეწერა: მო- ებული ნაწილი იმ თესლისა, რომელიც მე გავსინჯე, სრულიად უვარ- სია, დანარჩენი-კი ძალიან ცოტად ეირებსო. სწორედ ასეც მოხდა: წელს აბრეშუმის მოსავალი თით- ის სრულიად მოსცდა.

ეხლა-კი თამამად ეუბნებოდა პას- ერი აბრეშუმის ჭიის პატრონებს: თქვენ რომ შარშანვე ჩემთვის და- ჯერებინათ, შრომა და ჯაფა უქ- არ ჩაგივლიდათ და მოსავალზე- ხელ-ცარიელები არ დარჩებო- თო».

პასტერმა ეხლა სრული ნდობა პოვა ხალხისა და ამის გამტყუნე- ლს მტრებსაც უნდა იარაღი ძირს ეყარათ. ამავე დროს პასტერს კი- ორი პარკი თესლი მოუტანეს კითხეს.

— რას გვირჩევ? ივარგებს აბრე- ის ჭიის მოსაყვანად, თუ არაო? სტერმა გაშინჯა პეპლები ამ ებისა და თესლი კარგი ალმო-.

შეგიძლიან აზეიროთო, უთხრა რმა და მოსავალიც კარგი მო- ო.

ირეს და მართლაც დიდ-ძალი შვენიერი აბრეშუმი მოუვიდათ.

**

პასტერმა სრულიად გაიმარჯვა. მაგრამ პასტერი ისეთი კაცი არ არის, რომ ნახევარ გზაზე შესდგეს. პასტერმა ჯერ მხოლოდ ერთი მხარე გაიგო საქმისა, სენის სათავე იპოვა.

ახლა თვით ის მარცვალიც უნდა გაეცნო, რომელიც აბრეშუმის ჭიის სნეულებასა ჰბადავს, უნდა შეეტყო იმის თვისება, ხასიათი, აგრეთვე გადამდებია ეს სენი თუ არა, და თუ გადამდებია, როგორ გადადის ერთის ჭიიდამ მეორეზე.

პასტერმა აიღო რამდენიმე ჭია, ისეთი ჭია, რომელიც სრულიად ჯანმრთელ პეპლის თესლიდამ იყო გამოსული. მერე აიღო ჭირის გადამდები მარცვალი, გაქნა წყალში, და ეს გაქნილი მარცვალი აუცრა ჯანმთელ ჭიებსა. ზოგი გაქნილი მარცვალი კიდევ საჭმელში გაურია, რომ ჭიებს ჭამის დროს თან ჩაეყოლებინათ.

ორივე შემთხვევაში სრულიად ჯანმრთელი ჭიები ავად გახდნენ და დაიხოცნენ. გასინჯა პასტერმა და აღმოჩნდა, რომ მთელი შიგნეულობა ამ ჭიებისა პაწია ჭირის გადამდებ მარცვლებით იყო გავსებული.

პასტერი ამასაც არ დასჯერდა. ჯანმთელ ჭიებში შეურივა რამდენიმე სნეული ჭია. პასტერს უნდოდა შეეტყო, ამ გზითაც შეიძლება ჭირის გადადება თუ არაო.

ბევრს გადაედო ჭირი, დასნეულდნენ და დაიხოცნენ. ამათაც აუარებელი მარცვლები დაჰხვდა. აქ როგორ-ღა გადაედოთ ეს ჭირი? პასტერმა დიდხანს ადევნა თვალი, ბევრი იძია და აი რა შეჰნიშნა:

ჭიები ჭამის დროს მოძრაობაში არიან; მოძრაობაში ხშირად ფეხს აზვედრებდნენ ხოლმე ერთმანერთს და ტანს უკაწრავდნენ. თუ ჭია სნეულია, შესაძლოა, გაკაწვრით თავის ავადმყოფობა მეორესაც გადასდოს. როგორ?

პასტერმა ავადმყოფს ჭიებს ფეხი მოჰბანა და ნახა ფეხებზედაც ის პაწია მარცვლები, რომელნიც სენსა ჰბადავენ.

გარდა ამისა, ავადმყოფ ჭიების განავალი საჭმელს ედება, რომელიც ჭიებს საერთოდა აქვთ ხოლმე. მეორე ჭია ამ განავალს საჭმელს ჩაატანს, და ჭირიც მაშინვე გადაედება.

ამიტომაც აუცილებლად საჭიროაო, ეუბნებოდა პასტერი აბრეშუმის ჭიის პატრონებს, -- დასნეულებული ჭია ფიცხლავ გააშოროთ და ცალკე გყვანდეთ, რომ ჯან-მთელებსაც ჭირი არ გადაედოთო.

პასტერმა ყველა ეს გამოიძია, გამოარკვია, დაწვრილებით შეიტყო საქმე და აჩვენა, რა გზით შეუძლიანთ აბრეშუმის ჭიის პატრონებს თავიდამ უბედურების აცილება. გაიარა რამდენმამე წელიწადმა. აბრეშუმის ჭიის პატრონებმა დაუჯერეს პასტერს, წავიდნენ იმ გზაზე, რომელიც პასტერმა [illegible]ა, და ბოლოს მხოლოდ მად[illegible] და ლოცვა-კურთხევას უთვლიდნენ პასტერს. აბრეშუმის მოყვანა ისევ ისეთ სარფიან, გამოსარჩომ საქმედ გადიქცა, როგორც წინად იყო, მინამ ეს რაღაც საშინელი ჭირი არ გაჩენილიყო. ბევრი გამოიარა პასტერმა, მინამ ასე გაიმარჯვებდა და ასეთს სამსახურს გაუწევდა სამშობლოს და მთელს ქვეყანას.

პასტერმა დიდი წიგნი დასწერა, სადაც დაწვრილებით არის ნაამბობი ყველაფერი ამ საგნის შესახებ. წიგნი ასე თავდება: «გადავდგი თუ არა პირველი ნაბიჯი ამ საქმის გამოსაკვლევად, ათასი უსამართლობა და უკადრისობა მომაყენეს. მე ღმერთმა დამიფაროს, სამაგიეროში სამაგიერო ევაგო ჩემს მოპირდაპირეებს, ჩემს წიგნში კვალიც-კი წავშალე ყოველგვარ უკადრის სიტყვა-პასუხისა.»

მხოლოდ დიდის მადლით და ნიჭით მოსილს, დიდ-სულოვანს კაცს შეუძლიან იქონიოს ასეთი სულგძელობა და კეთილშობილური პატიოსნება!

იმავე წიგნში პასტერი ამბობს კიდევ ერთს ადგილას: «ადამიანის ხელთ არის მოსპოს მთელის დედამიწის ზურგზე ყოველ-გვარი გადამდები სენი, თუ მართალია ჩემი აზრი, რომ არა გადამდები სნეულება თავის თავად, უგვარ-ტომოდ, უთესლოდ არა ჩნდება, როგორც ჩემი მოპირისპირენი ამბობენ, და მე-კი სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი გადამდები სნეულება თესლიდამ ჩნდება, რომელშიაც ეს სნეულება წინადვეა ჩასახული».

უნებურად გრწამს ეს სიტყვები! გრწამს ჯერ ერთი იმიტომ, რომ გესმის ასეთი მეცნიერის პირიდამ, როგორიც პასტერია; გრწამს, მეორე კიდევ იმიტომ, რომ ასეთი რწმენა ამაღლებს ადამიანს, იმედს აძლევს, მხნეობას, ძალ-ღონეს ჰმატებს! მართლა და წარმოიდგინეთ, რომ პასტერის მოპირისპირენი გამართლებულიყვნენ, — რა იქნებოდა? ადამიანმა უნდა იმედი გადიწყვიტოს, გულ-ხელი დაიკრიფოს, უღონოდ თავი ჩაჰკიდოს და ყოველს წამს შიშში იყოს: აცა საიდამ გამოტყვრება რაღაცა მოარული ჭირი და თან გამიტანსო!...

პასტერმა-კი სათავე უპოვა ჭირსა და იმედიც მოგვცა, რომ შესაძლებელია ყოველ გვარი გადამდები ჭირი ვძლიოთ და თავი ვიხსნათ!...

მარტო ერთი შეურყეველი იმედი გამარჯვებისა ნახევარ გამარჯვებაო, — ნათქვამია, და ეს ნახევარი გამარჯვება გადამდებ ჭირზე, რომე ლიც უწინ მუსრს ადენდა იმედ- დაწყვეტილს ქვეყანას, ეს ნახ გამარჯვება-მეთქი ხელთ მოი პასტერმა. ნუ თუ მართ ქნებით, ვსთქვათ სახელი საუკ

ამისი საქმრო და ამ საქმროს საფლავზედ აღთქმა დაუდვია ყმაწვილ ქალს, რომ დღეიდგან დღეში ხუთ-ხუთი ადამიანი უნდა ვიმსხვერპლო ჩემს სიკვდილამდე შურის-საძიებლადაო. ეს აღთქმა დაუდვია და წმინდადაც შეუსრულებია. მართლაც ამ ქალს დიდხანს შიშში ჰყვანდა თურმე მთელი ქალაქი და ბევრი შეძლებული კაცებიც გაცარცვა, მაგრამ ჯარი და პოლიცია ვერაფერს ვერ აკლებდნენ. ამ გვარად შეძენილი დიდი შეძლება ამასტას თავის სიკვდილის შემდეგ ღარიბებისა და შეუძლებლებისათვის დაუტოვებია.

— აქამდე საფრანგეთის არტისტები ჟარს იყვნენ წარმოდგენები გაემართათ ელზასში, მას შემდეგ, რაც ელზასი გერმანელებმა დაიპყრეს. ხოლო ეხლა ლზასში წასვლა გარდაუწყვეტია თავის სითურთ ცნობილს არტისტ-ქალს ოუდიეს და ამ აზრით თავის რეპერტუარიდგან გამოურიცხავს ოპერეტტი am'zelle Nitouche», რადგან ამ ეტში საფრანგეთის სამხედრო ესია სასაცილოდ აგდებული, ამისა და ნეაპოლის რკინის ადგურებს შუა საშინელი უბე ა მომხდარა ამას წინად. პირვე ს კლასის ერთს ვაგონთაგანში მჯდა თავადი ბრანკაჩჩიო, რომელსაც ფან რის ახლო მიმავალ კონდუქტორისა ს ცეცხლი უთხოვნია თუთუნის მოაკიდებლად. კონდუქტორს ამოუღია წუმწუმა და რამდენჯერმე აუნთია, მაგრამ ქარს ისევ გაუქრია. გაჯავრებულს ონდუქტორს კვლავ განუგრძვია თავისი დაწყებული საქმე, რადგან უეჭველად სდომებია თავადის სიამოვნება. ამის გამო ვერ შეუნიშნავს მეორე მომავალი მატარებელი, რომელსაც ისე ახლო გაუვლია კონდუქტორზედ, რომ კონდუქტორი სულ ერთიანად გაუსრესია. თავადს თავის თვალით უნახავს ეს ამბავი, ისე ძალიან სწყენია, რომ კინაღამ გულს შემოჰყრია, და უბრძანებია: კონდუქტორის ქვრივს ჩემს ხარჯზედ 5,000 მანათი მიეცით, რადგან იმის ქმრის სიკვდილის მიზეზი მე ვარო.

დეპეშა

22 იანვარი

ვენა. გაზ. „Correspondence de l'est“-ში დაბეჭდილია წერილი ბერლინიდამ. რედაქცია ამბობს, რომ წერილი ეკუთვნის ერთს სარწმუნო დიპლომატსაო. წერილის სიტყვით, გერმანია დიდს მეცადინეობაშია, რომ შეარიგოს პეტერბურგი და ვენა შესახებ ბოლგარიისა. ბერლინის კაბინეთმა კანონიერად და მოკლედ გამოუცხადა ავსტრი-ვენგრიასა, რომ იმისის აზრით ბოლგარია ისეთი ქვეყანაა, რომელიც უნდა იდგეს ავსტრიის ზედ-მოქმედების გარეშეო, და რომ გერმანია ერთს ჯარის-კაცსაც არ გამოიყვანს საომრად, უკეთუ ავსტრი-ვენგრია, რუსეთთან მორიგების მაგიერ, დაიწყებს ომსა ოლგარიის გულისათვისაო. ბერლი ს კაბინეთის აზრით, ბოლგარია ოენს არას შეადგენს ავსტრიისა . ამასთანავე გერმანიამ გაა უსეთსა, რომ დაიცავს ავ ს ინტერესებს შესახებ ისაო. ამისთანა აიდ-ერ მოლაპარაკება, და ეს საშუალება ერთ ნაირადა სწამთ ვენაშიაცა და პეტერბურგშიაცაო. ჯერ კონფერენციის მოწოდება ედოთ გულში, მაგრამ შემდეგ ამ ფიქრს თავი დაანებეს იმის შიშით, ვაი თუ რუსეთმა ბოსნიის საქმეები აშალოსო. მაშასადამე, ხელთ დაჰრჩომიათ მხოლოდ პირდაპირი მოლაპარაკება, რომ ერთი-ერთმანერთს ზოგი რამ გამოუქვეყნებლად დაუთმონო. გერმანია ცდილობს ვიწროდ შემოაფარგლინოს გაფართხული და გაწეწილი საქმე უთანხმოებისა და ურჩევს ავსტრიას, რომ შეძლებისამებრ დაუთმოს რამ რუსეთსა და, თუ ვინიცობაა ამ დათმობით ვერას გახდება, საომარ ფეხზედ დააყენოს ჯარებიო.

პარიჟი. „National“-ი იწერება, რომ გუშინ ფლოკე წარდგენილ იქმნა ბარონ მორენგეიმთან და ალებ-მიცემის მინისტრ დოტრესთან. 13 თებერვალს ბარონი მორენგეიმი დაესწრება ფლოკეს ბანკეტზე. „Temps“-ი ამის შესახებ ამბობს, რომ უეჭველია ბარონი მორენგეიმი უფრო დიდის პატივით იქმნება მიწვეული, ვიდრე დანარჩენნი წევრნი სადიპლომატო კორპუსისაო.

პეტერბურგის ბირჟა 19 იანვარი.

	მყიდველნი	გამყიდველნი	გაყიდულნი
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთმანათიანი ოქრო	— „	— „	9 30
ტამოჟნის კუპონები	— „	— „	186
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 32
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	$261^1/_2$
— მეორისა	— „	— „	$246^3/_4$
გირავნობ. ფურცელნი			
ტფილისის ბანკისა	— „	— „	$98^1/_2$
ქუთაისის ბანკისა	— „	— „	$98^1/_2$
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7396**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

იანვარი 31 დღით არის

23 დღე შაბათი. წმ. მოწ. კლიმენტისა და ღირს. გენადისა. კათოლ. დანიშნვა ყოვლად წმ. ქალწულის მარიამისა. სომეხ. წმ. ათანასესი და კირილესი. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—10, ჩადის 5—19. მთვარე 23 დღისაა.

24 დღე კვირა. ღირსისა დედისა ქსენიასი და მაკედონიასი. კათოლ. წმ. მოწ. ტიმოთესი. სომეხ. წმ. ვაჰანისა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—9, ჩადის 5—20. მთვარე 24 დღისაა.

25 დღე ორშაბათი. წმ. გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. კათოლ. მოქცევა წმ. მოციქ. პავლესი. სომეხ. ქალწ.-მოწ. ევგენიასი. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 5—21. მთვარე 25 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . .	3 »
2 ›	$2^1/$ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 »
› » 2—	$3^1/_2$ ›
› › 3 ›	3
ჭვავის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	› ›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›
სუკი	14 ›
მროხის ხორცი . . .	8 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

ნერსესიანის სკოლის
თერამეტს მაღაზიას, თაღ-გადატანილის მარნებით, ცალ-ცალკე თვალს,
ვაქირავებ
თებერვლის პირველიდამ ქ. ტფილისში, იარმუკაზედ. მსურველი ამავე შენობაში მნახავს ფასების გასაგებად.
(3—2)
არენდატორი ალ. თუთაევი

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამ.	გადის საათ.	გადის წამ.
	დილით			
ტფილისი	—	—	8	49
ავჭალა	9	9	9	11
მცხეთა	9	32	9	40
ქსანი	10	3	10	05
კასპი	10	33	10	36
გრაკალი	10	59	11	1
გორი	11	25	11	40
ქარელი	12	8	12	11
გომი	12	37	12	41
ხაშური	1	2	1	17
სურამი	1	29	1	32
ფონი	2	—	2	3
ბეჟათუბანი	2	56	3	16
მარელისი	3	45	3	48
ბელაგორი	4	15	4	18
ძირულა	4	45	4	48
ყვირილა	5	26	5	40
აჯამეთი	6	14	6	16
	საღამოთი			
რიონი	6	29	6	44
კოპიტნარი	7	08	7	10
სამტრედია	7	29	7	49
საჯავახო	8	5	8	7
ნიგოითი	8	27	8	30
ლანჩხუთი	8	42	8	46
სუფსა	9	19	9	27
ნატანები	9	52	9	55
ქობულეთი	10	22	10	25
ბათუმი	11	13	—	—

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამ.	გადის საათ.	გადის წამ.
	დილით			
ბათუმი	—	—	8	4
ქობულეთი	8	54	8	57
ნატანები	9	25	9	29
სუფსა	9	55	10	2
ლანჩხუთი	10	35	10	39
ნიგოითი	10	51	10	53
საჯავახო	11	14	11	16
სამტრედია	11	33	11	51
კოპიტნარი	12	13	12	16
რიონი	12	47	1	2
აჯამეთი	1	15	1	18
ყვირილა	1	58	2	10
ძირულა	2	48	2	50
ბელაგორი	3	17	3	20
მარელისი	3	47	3	49
ბეჟათუბანი	4	18	4	37
ფონი	5	30	5	34
	საღამოთი			
სურამი	6	2	6	5
ხაშური	6	17	6	32
გომი	6	50	6	54
ქარელი	7	16	7	19
გორი	7	44	7	54
გრაკალი	8	15	8	17
კასპი	8	40	8	43
ქსანი	9	7	9	39
მცხეთა	9	28	9	34
ავჭალა	9	52	9	54
ტფილისი	10	15	10	46

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით			
ტფილისი	—	—	3	21
ავჭალა	3	46	3	49
მცხეთა	4	19	4	25
ქსანი	4	49	4	52
კასპი	5	24	5	29
გრაკალი	6	—	6	3
	საღამოთი			
გორი	6	31	6	45
ქარელი	7	18	7	24
გომი	7	53	8	1
ხაშური	8	24	8	38
სურამი	8	50	—	—

	ღამით			
სურამი	—	—	2	59
ხაშური	3	11	3	27
გომი	3	50	3	55
ქარელი	4	24	4	31
გორი	5	4	5	19
გრაკალი	5	46	5	51
	დილით			
კასპია	6	18	6	24
ქსანი	6	55	6	59
მცხეთ	7	24	7	32
ავჭალა	7	55	7	58
ტფილისი	8	24	—	—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თთვით	10 მ.—კ.	6 თთვით	6 მ.—კ
11 „	9 „ 50»	5 „	5 „ 25
10 „	8 „ 75»	4 „	4 „ 75
9 „	8 „ —›	3 „	3 „ 50
8 „	7 „ 25»	2 „	2 „ 75
7 „	6 „ 50»	1 „	1 „ 50

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სო ლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფ ლისის გარეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ».

თუ ტფილისში დაკვეთილ გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლ იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხა ბანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16
ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 ნათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს გილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

1888 г. Типографія А. А. Михельсона, на Гол. Проспектъ въ д. Читахова.

რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძ